ტფილისი

63
არტის 19, თხშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 63
მარტის 19, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგ იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ აწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით-9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 ვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

თავადნი დიტრი და ალექსანდრე ნიკოლოზის ძენი ჭავჭავაძენი და მარიამ ნიკოლოიზის ული კუკოლ-იასნოპოლსკისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა ამა მარტის 17 ს გარდაცვალებას თავიანთ მამისა

თავ. ნკოლოოზ დიმიტრის ძის ჭავჭავაძისას.

პანაშდი იქნება ყოველ დღე ნაშუადღევის 1-ლ საათზე და საღამოს 7 საათზე, ერვნის მოედანზე, სახლი თ. სუმბათოვისა. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცადებული გაზეთში. (3—2)

ა. ი. მანთაშევის ქარვასლაში
შუა ბაზარი №№ 39—45

გაიხსნა

სხვა-დახვა განყოფილება და საწყობი
ნარდათ გასაყიდი
მაუდეულების საქონლისა.
საგაჭრო სახლი.

ს. ა. პირაპოჯოვის, ბ. გ. ოჯანეჯოვის და ამხ—ისა

ვსთხოვთ
პატივცემულ
საზოგადოებას
მომავალ გაზაფხულის
სეზონისთვის თვით დარწმუნდეს
ჩვენის საქონლის სიიაფესა და ღირსებაში
განყოფილება იმყოფება
კავკაზში, გროზნაში, გიორგიევსკასა და ქუთაისში
ვაჭრობა ძალიან პირიანია. ფასი გადაჭრილია.
ფირმა არსებობს 1868 წლიდგან.
(6—56—5)

ისყიდება სურამში

იუკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

შემკული კრგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი დგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსოსაჟენი. უმთვრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „იერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—12)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთშორისო კონგრესზე ლიონში უმაღლესი საჩუქარი მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია დ ხმარებაც სულ უშიშრად შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადენელია პეტრე ყიფიანი ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. ტელეფონი 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (12—6.—8)

კბილის ექიმი
ვანე ჰავლეს ძე
ახალშენიშვილი
ლისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ვადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო სღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზედ, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა

ამ კრებაზედ ნამდვილი წევრი საზოგადოებისა კ. თ. განი წაიკითხავს თავის მოხსენებას დაღესტნის უმაღლეს ადგილებზედ მოგზაურობის შესახებ. არა წევრთ შეუძლიანთ კრებაზედ დასწრება უფასოდ. (3—2)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

25 მაისს, 1898 წელს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით ყარამან გურგენის ძის ნაცვალოვის მირ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ას სამოც და ხუთმეტის მანეთისა (175 მ.), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭვდისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ ნაცვალოვს ანუ მის მემკვიდრეებს.

(3—6.—1)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

№ 45—5 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 მარტს
ჰენრიხ იბსენის პატივსაცემლად
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ნუცა ჩხეიძეს მონაწილეობით
პირველად ქართულ სცენაზედ

I
ნორა
დრამა 3 მოქ. ჰენრიხ იბსენისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

II
დედის ერთა
კომედია 1 მოქმ.

Ш
აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, ბნ-ნი გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, როანიშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად „ქეთევან წამებული“ „მედია“.
რეჟისორი ვალ. გუნია.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ხუთშაბათს, 19 მარტს, დანიშნულია დიდი წარმოდგენა. სხვათა შორის, იქნება ორი კავკასიური ჭიდაობა. 1-ლი, დაუძლეველი მოჭიდავე—ჰერკულესი მოორი ეჭიდავებს



ლეჟავასთან (იგივე ბაბაჭუა) დამძლევს ჯილდოდ 25 მანეთი მიეცემა. 2, ღვინიანიძე ეჭიდავებს ერევნელ მოჭიდავე გალუსტოვთან (იგივე მედროგე) დამძლევს ჯილდოდ ვერცხლის საათი ზედწარწერით.
მონაწილეობენ 5 სპილო

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ქ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი-—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.
ა. ზ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 19 მარტი.

რუსულ ენას ზოგიერთ სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში ბ-ნ გოგებაშვილის „Русское сл.“ და რადონეჟსკის „Сольнышко“-ს საშუალებით ასწავლიან. „Р. Сл,“ გოგებაშვილისა, პირველი და მეორე ნაწილი, საუკეთესო სახელმძღვანელოებია ჩვენს სკოლებისთვის, მაგრამ როგორც ეს წიგნები, ისე ყოველი სხვა მშვენიერი სახელმძღვანელოები მაშინ ასრულებს თავის მაღალს დანიშნულებას, როდესაც გონივრულად ჰხელმძღვანელობენ.

მოსამზადებელ კლასების მეორე განყოფილებაში ასწავლიან „Р. Сл.“ მეორე ნაწილს. ამ წიგნში 21 პატარა განყოფილებაა, ბოლოში-კი მოთავსებულია ეგრედ წოდებული „სასულიერო განყოფილება“. „Р. Сл.“ II ნაწ. ისე, როგორც ყოველი სხვა საუკეთესო სახელმძღვანელო, პედაგოგიურ კანონებზედ არის დამყარებული: მოთხრობანი და ლექსები ერთი ერთმანეთზედ არის ასხმული, ერთი განყოფილება მეორეზეა დაკავშირებული. ამიტომ ბავშვები მთელს სახელმძღვანელოს თანდათანობით, სავსებით უნდა სწავლობდნენ. მოსამზადებელ კლასებში-კი აი, როგორ სწავლობენ ამ წიგნს: პირველ ოც განყოფილებიდან შეისწავლიან თითო-ოროლა ლექს და პატარა ამბავს და მერე პირდაპირ სასულიერო განყოფილებას იწყებენ. ამ გვარის სწავლით ირღვევა უმთავრესი კანონი პედაგოგიისა: თანდათანობა, ჯერ ადვილი, მერე ძნელი; ბავშვებს მეტად უძნელდებათ შრომა და ამას იგივე შედეგი მოსდევს, რაც სამღვთო ისტორიის უდროვოდ რუსულად სწავლებას. „Русское Сл.“ პირველ ნაწილის გათავების შემდეგ რომ პირდაპირ „სასულიერო განყოფილების“ შესწავლა შესაძლებელი ყოფილიყო, თვითონ ავტორი ამგვარად შეადგენდა თავის მეორე წიგნს. ამიტომ, ვიმეორებთ, „Р. Сл.“ სავსებით შესწავლა აუცილებლად საჭიროა ზემორე აღნიშნულ სკოლებში.

აქ, შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ იქნება დრო არ არის იმდენიო, მაგრამ ვგონებ ყველა დაგვეთანხმება, რომ სამ წელიწადში სრულიად საკმარისია ბ-ნ გოგებაშვილის ორის წიგნის შესასწავლად. პირველ წელიწადს რომ ბავშვებმა მარტო რუსული ასოები შეისწავლონ, მეორე და მესამე წელს ორს წიგნს თავისუფლად გაათავებენ.

რაც შეეხება „სოლნიშკოს“, რომელსაც უფროს მოსამზადებელ კლასში სწავლობენ, მის შეუფერებლობაზედ ლაპარაკი მეტადაც-კი მიგვაჩნია. მთავრობამ უკვე იცის, რომ ეს წიგნები მოსამზადებელ კლასებისთვის არ ვარგა

და არა გვგონია, მომავალ კრებაზედ აღმოჩნდეს ისეთი მასწავლებელი, რომ მისი საჭიროება აღიაროს. „სოლნიშკოში" ისეთი ლექსები და იგავებია მოთავსებული, რომლების სწავლა უფროს კლასებშიაც-კი უძნელდებათ. მოთავსებულია აგრეთვე ამბები საეკლესიო და სამხედრო ისტორიისა და ყველა ამას როგორ შეისწავლის ის ბავშვი, რომელსაც რუსულში ენა ოდნავ გაუტეხნია და „Р. Сл." სავსებითაც არ შეუსწავლია.

„სოლნიშკოში" მოთავსებულ ამბებს არა აქვს ხმის ასამაღლებელი ნიშნები, არა აქვს არც ერთი სიტყვის ახსნა... მაგრამ აქ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? ვისაც გული ერჩის, გადაათვალიეროს ეს წიგნი და თავის ბედნიერი თვალით იხილავს, თუ რანაირ ულმერთოდ იტანჯება მისის სწავლებით ბავშვების ნორჩი, ჯერედ გაუფურჩქვნელი გონება!

ანგარიშისა და ქართულ ენის სწავლება მოსამზადებელ კლასებში, სხვა საგნებთან შედარებით, უფრო ნორმალურად სწარმოებს. გარნა აქაც საჭიროა მცირეოდენი შესწორება. მეორე და მესამე განყოფილებაში სწავლობენ ზოგიერთ მეტად რთულ გამოცანებს. ამასთან გამოცანა შეიცავს ისეთ სფერას, რომელიც ბავშვისთვის გაუგებარია. ამ შემთხვევაში ანგარიშის მასწავლებელი იძულებულია ანგარიშის გაკვეთილები რუსულ ენის გაკვეთილებად გარდააქციოს, მრავალი ახალი სიტყვები და ფრაზები უნდა გააზეპირებინოს და ამნაირად თავის უმთავრეს მოვალეობას ვეღარ ასრულებს.

ჩვენის ფიქრით, საჭიროა ჯერ ვიდრე ბავშვები რუსულში ენას გაიტეხავენ, ქართულად დაწერილ ამოცანებით ავარჯიშონ გონება და მერე რუსულს მიჰყონ ხელი. ამასთან მასწავლებელს უნდა უფლება ჰქონდეს თვითონ ამოირჩიოს ამოცანები იმ სახელმძღვანელოდამ, რომელიც აღნიშნული იქმნება პროგრამაში.

ქართული ენის შესასწავლად საჭირო არის გაკვეთილების გამრავლება მეორე და მესამე განყოფილებაში. თუ რომ სკოლა ადგია იმ აზრს, რომ სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს დედა-ენის საშუალებით და თუ აღნიშნულ სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში რუსული ენის შესასწავლად კვირაში ათ-ათი გაკვეთილია დანიშნული, მაშინ ქართულ ენის შესასწავლად 7 ან 8 გაკვეთილი მაინც უნდა იყოს.

გარდა ყოველისავე ამისა, საჭიროა შემცირდეს მოსამზადებელ კლასებში გაკვეთილების რიცხვი. ამ ჟამად მოსამზადებელ კლასების შეგირდებს კვირაში ოცდა-შვიდი, ოცდა-რვა გაკვეთილი აქვს. უფროს კლასებში-კი—ოცდა-ოთხი. ეს გარემოება ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს. თუ თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ყმაწვილებისთვის ძნელია დღეში ხუთი საათი ერთბაშად მეცადინეობა, მით უმეტესად ძნელი იქნება შვიდი-რვა წლის ბავშვებისათვის. ამასთან, თუ უფროს კლასებში არა, მოსამზადებელ კლასებში მაინც, უნდა შემოკლდეს თვითეულ გაკვეთილის ხანგრძლივობა ერთის საათის მაგიერ, საკმარისია 45—50 წუთი, რადგან გაკვეთილის ბოლოს შეგირდები მეტად იღლებიან და ხალისსა ჰკარგავენ. სამოქალაქო სასწავლებლებში 60 წუთიანი გაკვეთილები დიდი ხანია 50 და 45 წუთიან გაკვეთილებად შესცვალეს. ასევეა, თუ არა ვსცდებით, გიმნაზიებშიაც.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. სამოქალაქო სასწავლებლებში და სხვაგანაც ასეთი წესი არსებობს: პროგრამაში დასახელებული აქვთ მხოლოდ სახელმძღვანელო, რომელიც უნდა იხმარებოდეს ამა თუ იმ კლასში. შესაწეველ მასალას-კი სკოლის გამგეობა ირჩევს მასწავლებლის დახმარებით. შემდეგ უმაღლეს მთავრობასთან დასამტკიცებლად ჰგზავნის.

არ შეგვიძლიან გულწრფელად არ აღვიაროთ, რომ ამგვარი წესი მეტად სიმპატიური და სასარგებლოა. ამიტომ ,საჭიროა სხვა სასწავლებლებშიაც შემოღებული იყოს. ამ შემთხვევაში მასწავლებელიც მხურვალე მონაწილეობას მიიღებს თავის შეგირდების გონების ზრდა-განვითარებაში და იძულებული არ იქმნება მონურად დაემორჩილოს პროგრამას, რომელიც ერთხელ დაიწერება და მერე, ვინ იცის, როდის-როდის შეიცვლება ხოლმე.

ტფილისი

◆ დღეს, 19 მარტს, ალექსანდრეს ბაღში გოგოლის ძეგლის კურთხევას დაესწრებიან ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი.

◆ სატეხნიკო საზოგადოებამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას, ქალაქის თვით-მმართველობიდგან დანიშნეთ წარმომადგენელი, რომელიც უნდა დაესწროს მთა-მადნის მწარმოებელთა კრებასაო. ეს კრება დანიშნულია პეტერბურგში აპრილის დამდეგს. კრებამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი რუსეთის ნაწარმოებთა გასავრცელებლად მცხოვრებთა შორის.

◆ 17 მარტს ტფილისში ჩამოვიდა საერო განათლების სამინისტროს წევრი თავადი გოლიცინი, რომელმაც დაათვალიერა კიდეც გიმნაზიები და სხვა სასწავლებელნი. თავ. გოლიცინი ჩამომხტარია სასტუმრო „ორიანტ"-ში და ტფილისიდგან ხვალ წავა.

◆ კვირას, 16 მარტს, დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში ამავ სასწავლებლის მოსწავლეთა მიერ გაიმართა სალიტერატურო და სამუსიკო დილა. დილას დაესწრნენ ქალაქის სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებელთა წარმომადგენელნი.

◆ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის 1901 წლის ანგარიშის განხილვა, ჯერ-ჯერობით შვიდი მუხლი განიხილა. დანარჩენ მუხლთა განხილვას ამ დღეებში კიდევ შეუდგება კომისია.

◆ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შეადგინა სია იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც უფლება აქვთ მორიგ საზოგადო კრებაზე დასწრებისა.

◆ ადგილობრივ რუსულ გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროს შეუთვლია ყველა საშუალო და ოთხ-კლასიან სასწავლებელთა უფროსთათვის, წარმომიდგინეთ სია იმ მასწავლებელთა, რომელნიც თქვენს უწყებაში არიანო. ეს ცნობანი იმიტომ უნდა სამინისტროს, რომ მასწავლებელთ 20% მოუმატოს იმ ჯამაგირისა, რამდენიც ახლა აქვთ.

◆ ხუთშაბათს, 20 მარტს, დანიშნულია ქალაქის გამგეობისა და ხორცზედა და პურზედ ნიხრის გამწესებელ კომისიის შეერთებული კრება. კრება განიხილავს ბ-ნ ალიხანოვის მოხსენებას ხორცისა და პურის საქმის შესახებ.

◆ გუშინ, 18 მარტს, ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოსწავლენი წავიდნენ ს. კასპში, სადაც ივარჯიშებენ პრაქტიკულად თ-დ ზ. გ. ერისავის მამულში.

◆ ორშაბათს, 24 მარტს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა წარმომადგენელთა.

◆ ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა მისწერა სოფელ შულავერის (ბორჩ. მაზრა) საზოგადოებას, საავადმყოფო დაიარსეთ აფთიაქით, რომელსაც მიუნდება 1,250 მანეთი წლიურადაო. ახლა შულავერიდგან იუწყებიან, სოფლელთა ყრილობამ გადასწყვიტა მოკლე ხანში დაიარსოს საავადმყოფო აფთიაქითაო.

◆ როგორც გვატყობინებენ ს. სტეფანწმინდაში (დუშეთის მაზრა) გაჩენილა ხუნაგი და წითელა. ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონისძიებანი არ არის მიღებული.

◆ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, საზოგადოებას არ შეუძლიან იმ პირობებს დათანხმდეს, რომელიც ქალაქმა შეგვატყობინა საჰიდრავლიკო სადგურის მოსაწყობადაო.

◆ თიანეთიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს: გლეხკაცობა ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა საქონლის საჭმლის უქონლობისა გამო. სახაზინო გლეხებმა მიჰმართეს სახელმწიფო ქონებათა გამგეობას, ნება მოგვეცით სახაზინო ტყეში ყლორტები მოვჭრათ ხისა და ის ვაჭამოთ საქონელსაო. სამინისტრომ ნება დართო. ახლა აზრად აქვთ სხვა 13 საზოგადოებათ ასეთივე თხოვნით მიჰმართონ სამინისტროს გამგეობას.

◆ გუშინ-წინ, 17 მარტს, უეცრად გარდაიცვალა თავის სახლში თავ. ნ. დ. ჭავჭავაძე. განსვენებული მსახურებდა სასამართლო უწყებაში. სწავლა დაამთავრა საიმპერატორო სამსაჯულოს (правовѣдѣнія) სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ განსვენებული ორის წლის განმავლობაში მუშაობდა პეტერბურგში შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროთა კანცელარიაში. შემდეგ გადმოყვანილ იქმნა ტფილისში, სადაც ჩარიცხულ იქმნა სამოსამართლო პალატის წევრად. იყო მაზრის მოსამართლედ, წევრად თავად-აზნაურთა სადეპუტატო საზოგადოებისა და სხვ. 1865 წ დანიშნულ იქმნა ტფილის ვიცე გუბერნატორად. უკანასკნელ ხანში განსვენებული ცდილობდა გაეყვანა რკინის გზა კახეთში. გარდაიცვალა 75 წლისა.

◆ როგორც გვიამბეს, საქარის სანერგეს გამგეს ბ-ნ სტაროსელსკის, აგრონომს ტიმოფეევს და სხვებს უთხოვიათ რუსეთის მეხილეობის საზოგადოებისათვის, ნება მოგვეცით თქვენი საზოგადოების განყოფილება ტფილისშიაც დავაარსოთო. მთხოვნელთ იმედი აქვთ, საზოგადოება დააკმაყოფილებს მათს თხოვნას.

◆ თებერვლის განმავლობაში სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ტფილისში ავად გამხდარა 173 ადამიანი. აქედგან საოფლეთი ავად ყოფილა 67, ყელჭირებით 28, წითელით 8 და სხვა.

◆ ცხენის რკინის გზის ზედამხედველ კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა სულხანოვმა მიჰმართა უსახელო საზოგადოებას, მუშტაიდის შესახვევში ცხენები აღარ დააყენოთო.

◆ ამ ჟამად ქალაქის საბჭოში აღძრულია საკითხი, მოვუკლოთ თუ მოვუმატოთ ტარიფი ტფილისის ცხენის რკინის გზაზედაო. ამ საგნის შესახებ ხმოსანთ შეუძლიან თავიანთი აზრი წარადგინონ. ბ-ნმა ალიხანოვმა უკვე აცნობა თავისი აზრი საბჭოს, ტარიფი დარჩეს იგივე, რაც აქამდე იყოვო.

◆ ქალაქის ხელოსანთა საზოგადოება ამ ჟამად სცდილობს თავისთვის საკუთარი შენობა ააგოს. ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად რამდენჯერმე კიდევაც იყო მოწვეული საზოგადო კრება და ჯერ-ჯერობით არაფერი დაუდგენია.

◆ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებამ მიიღო პოლიცმეისტრისაგან პროექტი თავისის წესდებისა, რომლის შემუშავებასაც უნდა შეუდგეს ამ დღეებში. ეს პროექტი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც დაწუნებულ იქმნა. სამინისტრომ მისცა რამდენიმე შენიშვნა და ამ შენიშვნების თანახმად უნდა შეასწორონ ფარმაცევტთა საზოგადოების დამაარსებელთ თავიანთი წესდება.

◆ ამას წინად გავრცელდა ხმა, ვითომ ერევანში დიდი ჩხუბი მოხდა თათრებსა და რუსებს შორის და ვითომ რამდენიმე კაცი კიდევაც მოკვდა ამ ჩხუბშიო. ამ ჩხუბს საფუძვლად უდებდნენ იმას, რომ ყაზახთა პოლკოვნიკის ქალი შევიდა თათრის დუქანში, სადაც გააუპატიურეს და მოკლესო. ამბობდნენ იმასაც, რომ პოლკოვნიკმა ერთს წამს თავები გააყრევინა ორს თათარსაო. ყველა ეს ხმები, ამბობს „კავკაზ"-ი, გამოგონილია და ყაზახთა პოლკოვნიკს ქალიშვილი სრულიად არა ჰყავსო.

◆ ფინანსთა მინისტრის ამხანაგი სთხოვს კავკასიის მთავარ-მართებელს, უგზავნოს უფასოდ საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტების გამოცემანი იმ წიგნთ-საცავის გეოგრაფიულ და საპოლიტიკო-ეკონომიურ განყოფილების შესავსებათ, რომელიც არსებობს პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან. მთავარ-მართებელი სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უფასოდ უგზავნოს თვისი საკვირაო ჟურნალი „Кавказ. Сельс. Хозяйство" იმავე ბიბლიოთეკას.

◆ ამა წლის 2 თებერვალს ქ. ვლადიმირში დაარსდა ვლადიმირის ბუნების მეტყველობის მოყვარულთა საზოგადოება. ატყობინებენ ამ ამბავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვენ დახმარება აღმოუჩინოს ვლადიმირისა და მის ახლო მდებარე გუბერნიების შესასწავლად ბუნების-მეტყველების მხრივ. სთხოვენ აგრეთვე სცვალონ ერთმანეთში თვისნი გამოცემანი.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან გროზნაში იბარებენ ბამბისა და ზაფრანის თესლს. უგზავნიან მხოლოდ ბამბის თესლს, რადგანაც ზაფრანის თესლი არა აქვთ.

◆ გუშინ, 18 მარტს, დიდ მზადებაში იყო ქალაქის გამგეობა. ალექსანდრეს ბაღში ამუშავებდა 30 ხელოსანს, რომელნიც ბოძებს სვამდნენ და გოგოლის ძეგლს ყვავილების გვირგვინებით ამკობდნენ. გუშინ ალექსანდრეს ბაღი მთელი დღე დაკეტილი იყო.

ტფილისის ქალაქის საბჭო. ამ თვის 17, ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. კრებამ მოისმინა წინა კრების პროტოკოლი და შეუცვლელად დაამტკიცა.

10 ამ თვეს ჩვენ ვრცლად გვქონდა მოხსენებული ქალაქის საბჭოს ბაასი მამა დავითის მთაზედ ფუნიკულერის გაყვანის შესახებ, რომელიც რობის უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ფუნიკულერის გასაყვანად მუშაობაც არ დაუწყვია; მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საბჭომ რობის ვადის განგრძობაზედ იმ პირობით, რომლითაც ის თხოულობდა, უარი უთხრა, პრინციპიალურად-კი საბჭო ვადის განგრძობაზედ წინააღმდეგი არ იყო, მხოლოდ-კი სხვა პირობით.

17 ამ თვეს საბჭოს კიდევ მოუხდა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი. ეს ბაასი გამოიწვია რობის რწმუნებულის რაგოძერის ახალმა განცხადებამ; რაგოძერი განმეორებით სთხოვდა საბჭოს: 1) რობთან დადებული პირობა ქალაქმა ძალაში დასტოვოს; ამასთან რობის მიეცეს ვადად სამი თვე, რომ ფუნიკულერის გასაყვანად საზოგადოება შეადგინოს; წელიწად ნახევარიც, რომ მუშაობა დაასრულოს და ფუნიკულერი გაიყვანოს; სათავდებოდ, რომ რობი პირობას შეასრულებს, 50 ათას მანეთს წარმოადგენსო. ეს განცხადება გამგეობამ თავის დასკვნით საბჭოს მოახსენა. გამგეობას გადაეწყვიტნა: რობისთან დადებული პირობა დარღვეულად ჩაითვალოს, რადგან მან ფუნიკულერი პირობისამებრ, არამც თუ არ გააკეთა 7 ამ თვისთვის, არამედ მუშაობაც არ დაუწყვიაო, ამისათვის რობის გადახდეს ქალაქის სასარგებლოდ 5,800 მან. ეს ფული ქალაქის კასაში იყო წარმოდგენილი რობის მიერ თავდებად.

2) ნება მიეცეს რობის რომ ერთის თვის განმავლობაში შეადგინოს ფუნიკულერის გასაყვანად საზოგადოება და, უკეთუ ამ ხნის განმავლობაში, არ შეადგინა, გადიხადოს ქალაქის სასარგებლოდ ჯარიმა 1000 მანეთი.

3) ახალ პირობაში, რომლის რედაქციათ ძველი პირობა, უნდა იყოს დატოვებული, შეტანილ იქმნეს: ა) წარმოადგინოს რობიმ 50 ათასი მანეთი იმის სათავდებოდ, რომ ფუნიკულერის კეთებას შეუდგება და კიდეც გააკეთებს, ამ ფულიდგან 40 ათასი მუშაობს დაიწყებს თუ არა, მაშინვე დაუბრუნდება რობის, მხოლოდ დანარჩენი ათასი თუმანი დარჩება ქალაქის კასაში, ვიდრე ფუნიკულერის გაკეთება არ დასრულდება; ბ) რობის მიეცეს ვადათ ფუნიკულების გასაკეთებლად წელიწად ნახევარი; გ) ახლად დადებულ პირობის ძალაში შესვლიდგან უკეთუ რობიმ პირობა არ შეასრულა, რამდენს თვესაც გადააცდენს, იმდენი 500 მან. გადახდეს ჯარიმათ. და თუ ექვსის თვის განმავლობაშიც არ შეუდგა პირობის შესრულებას, იმ შემთხვევაში პირობა გაუქმდეს სამუდამოდ.

უმეტესი ნაწილი ხმოსანთა ქალაქის გამგეობას დაეთანხმა, ორიოდე-კი წინააღმდეგი გაუხდა (ხუდადოვი და გრიქუროვი); მომეტებული ნაწილი ხმოსნებისა პირობას დარღვეულად სთვლიდა და აცხადებდა, ჯარიმათ რობის 5800 მან. გადახდესო. ჯარიმას გადახდევინების მოწინააღმდეგენი იყვნენ თ. ჩოლოყაშვილი და ფრიდონოვი; ესენი ამბობდნენ, პირობა ისევ განვაგრძოთ, ნუ დავაჯარიმებთო. კამათი გამოიწვია პირობის რედაქციამ. მომეტებული ნაწილი ხმოსნებისა (ხუდადოვი, გრიქუროვი, დუღაძე, სულხანოვი ღედუკოვი, დოლუხანოვი და სხვ.) იმ აზრისა იყო, რომ პირობა ხელ ახლად უნდა შევიმუშავოთო. ბაათოვი, ალიხანოვი და გამგეობის წევრნიც წინააღმდეგნი იყვნენ ახლად პირობის შემუშავებისა და ძველის პირობის დარჩენის მომხრენი იყვნენ. საბჭომ მიიღო ხმის უმეტესობით ქალაქის გამგეობის დადგენილება ამ საგნის შესახებ.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა, ავჭალის ცხენის რკინის გზის გამოყიდვის ვადა 24 მაისს დგებაო და საჭიროა კომისია ამოირჩიოთ, რომელმაც ამ საგნის შესახებ თავისი აზრი გვაცნობოს, სასარგებლო იქნება, თუ არა რომ ქალაქმა გამოიყიდოს ეს გზაო. საბჭომ ამ საქმის განხილვა გარდასცა საფინანსო და სარევიზიო კომისიებს, რომელთაც იურისტები უნდა მოიწვიონ და ისე შეიმუშაონ ეს საგანი.

შემდეგ ამოირჩიეს კომისია ქალაქის ლომბარდის წარსულ წლის ხარჯთ-აღრიცხვის სარევიზიოდ. ამ კომისიაში მოჰყვნენ: ი. მ. დოლუხანოვი 37 თეთ. კენჭი 1 შავი; მ. ქ. ყიფიანი 36 თეთ. 2 შავ., ა. ნ. მილოვი 36 თეთ. 2 შავ. გ. ა. მელიქ-კარაკოზოვი 35 თეთ. 3 შავ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სასწავლებლის წესდების ახალ პროექტის შედგენის შესახებ. ამ საგანზედ ბაასი შემდეგის კრებისათვის გადაიდო.

ბოლოს, საპროფესიონალო სახელოსნო სასწავლებელში დირექტორებად ნამყოფთ ქ-ნი ბურდინის და ბუთუზოვის თხოვნები იქმნენ გარჩეულნი. ესენი ქალაქის ფულით დახმარების აღმოჩენას სთხოვდნენ. ეს დირექტრისები სარევიზიო კომისიას გადაუყენებია სამსახურიდგან. საბჭომ თითქმის ერთხმად განუცხადა ქალაქის თავს, როდესაც მაგგვარი განცხადებანი შემოგაქვს გასარჩევად, საჭირო საგნის შესახებ ყველაფერი ცნობანი წარმოგვიდგინეთ, რათა შეგვეძლოს შეუცდომლად საგანზედ ლაპარაკიო. ჩვენ არ ვიცით მთხოვნელთა მოქმედება და დათხოვნის მიზეზი და როგორ შეგვიძლიან მათი თხოვნების დაკმაყოფილება. ამასთან ამის შესახებ არც გამგეობას გამოუთქვამს თავის აზრიო.

საბჭომ დაადგინა: გამგეობამ ეს თხოვნები გადასცეს სასწავლებელთა კომისიას, რათა მან თავისი აზრი გამოსთქვას ამ თხოვნებზედ; შემდეგ-კი გამგეობამ თავის დასკვნით და ცნობებით წარმოუდგინოს საბჭოსაო

კრება გათავდა თორმეტის ნახევარზედ.

რამდენიმე შენიშვნა

„სომეხთა საქმის" გამო.

II

გათავდა ომი სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობით, რომლის მე-16 მუხლი ამ შინაარსისაა, მოკლედ რომ ვსთქვათ:—„ოსმალეთი ვალდებულია, დაუყოვნებლივ რეფორმები შემოიღოს იქ, სადაც სომხობა მოსახლეობს, და დაიფაროს იგინი ქურთ-ჩერქეზთაგან". სიტყვა „ვალდებულია" აქ იმას ნიშნავს, რომ ჩემთანა ხარ ვალდებული, ე. ი. ვალდებულება თავისს დროზედ თუ ვერ შეასრულე, ისევ შემოგესევი და სამუდამოდ წავართმევ ამ პროვინციებსაო. მაშასადამე, რუსეთი თვისს მფარველობას უცხადებდა ოსმალეთის სომხობას და თვით ოსმალეთი უთმობდა ამ უფლებას მთელ ევროპის თვალ-წინ.

თუ რასა ჰნიშნავს რუსეთის მფარველობა, რუსეთის პროტექტორატი, სტამბოლის სომხობა, რასაკვირველია, მიხვდა, მით უმეტეს, რომ ინგლისის ელჩიც ნათლად უხსნიდა მათ.

სწორედ აქედგან იწყება ინგლისის მომხრე და რუსეთის მოწინააღმდეგე სომეხთ დასის მოქმედება ევროპის წინაშე. ინგლისმა და ავსტრიამ არ შეიწყნარეს სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობა; რუსეთს ახალი ომი მოადგა კარზედ, და ძლიერაც სახიფათო; მაგრამ გერმანიის შუა-კაცობით გარდაწყდა, რომ ეს ხელ-შეკრულობა საერთო კონგრესზედ გარჩეული ყოფილიყო და შესწორებულიყო. გაიხსნა ბერლინში ეს კონგრესიც ევროპის უდიდეს სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან შემდგარი ბისმარკის თავმჯდომარეობით.

სანამ ეს კონგრესი შეიკრიბებოდა ბერლინში, სტამბოლელ სომხობის დასმა, ინგლისელების მომხრემ, გაგზავნა ევროპაში თვისი წარმომადგენლები ხრიმიანი და მინას ჩერაზი მოიარა ევროპა ამ დელეგაციამ, ინახულა იქაური მინისტრები და წარუდგა სხვა-და-სხვა სამეფო ტახტის წინ. საგანი ამ tournée-სი იყო ჯერ ერთი ის, რომ ევროპის მთავრობას და ხელმწიფებს გაეცნოთ სომეხთ ყოფა-ცხოვრება, და მერე ის, რომ შეწყნარებული ყოფილიყო მათი თხოვნა, ესენიც კონგრესში შეეშვათ.

აი რა უნდა ეთხოვათ ამ სომეხ დელეგატებს კონგრესზედ ევროპისათვის: არზრუმის და ვანის ვილაეთებისაგან (გუბერნიები), დიარბექირის ერთის წილის და აგრეთვე ზოგი ადგილებისაგან შავი-ზღვის პირას უნდა შემდგარიყო ერთი ავტონომიური პროვინცია, რომელსაც მთავრად დანიშნული ეყოლებოდა «გენერალ-გუბერნატორი, უთუოდ სომეხი, მხოლოდ ოსმალეთის მიერ არჩეული ხუთის წლით და ევროპის სახელმწიფოთა დადასტურებით.

დაიწყო კონგრესი. გადაწყდა ბედი ბალკანელ სლავიანთა, რომელთაც ამდენი სისხლი დაანთხიეს თავისუფლების მოსაპოებლად. მოუვიდა ჯერი ლაპარაკისა სომეხთ დელეგაციასაც; გაისმა მჭერმეტყველი და გრძნობიანი სიტყვა ხრიმიანისა, ამ დიდებულ და წმინდა კაცისა, რომელსაც მთელი სომხის ერი მამას ეძახის (ჰაირიკ). გაათავა თავისი სიტყვა ხრიმიანმა, წამოდგა ბისმარკი, კონგრესის თავმჯდომარე, და მკვახედ შეეკითხა: სომხის ერს ჩვენს დროში სად და როდის დაუღვრია თვისი სისხლი თავისუფლებისათვის, რომ თავისუფლების ღირსი იყოსო?...

მეორე თუ მესამე დღეს ბისმარკმა ნადიმი გაუმართა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს; მოწვევის ბარათი ხრიმიანსაც გაუგზავნა. ამან უარი განაცხადა და ასე შეუთვალა ბისმარკს: იქ, სადაც პოლიტიკოსები იქნებით შეყრილნი, რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემისთანა კაცს, რომელსაც პოლიტიკისა არა გამეგება-რა და მხოლოდ ქრისტეს სჯულის მესმისო!

ყველამ იცის, რა დაადგინა კონგრესმა სომეხთ შესახებ. აი, მოკლედ, რას ამბობს ამაზედ მე-16 მუხლი ბერლინის ტრაქტატისა:—„ბრწყინვალე პორტა ვალდებულია დაუყოვნებლივ შემოიღოს რეფორმები იქ, სადაც სომხობა მოსახლეობს და დაიფაროს იგინი ქურთ ჩერქეზთაგან. ოსმალეთმა დრო-გამოშვებით უნდა აუწყოს ევროპის სახელმწიფოებს, რა და რა რეფორმა შემოიღო სომეხთ პროვინციაში". ეს, როგორცა ვხედავთ, იგივე სან-სტეფანოს ხელ შეკრულობის მე-16 მუხლია, თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებული; გარჩევა მხოლოდ ისაა,—და საქმეც სწორედ ეგ არის,—რომ სან-სტეფანოს მუხლით რუსეთი აცხადებს თავის-თავს ოსმალეთ სომხობის მფარველად, ბერლინის მუხლით-კი რუსეთს ეგ უფლება ერთმევა და ევროპის სახელმწიფოებს უვარდება ხელში. ბერლინის მუხლის არარაობა და მისი გამოუსადეგრობა სომხობისათვის მრავალჯერ დამტკიცდა მას აქეთ მომხდარ ამბებით.

ასე შეხედა სომეხთ ჩივილს და მუდარას ბისმარკმა, რომლის პოლიტიკურ მოძღვრებას, სხვათა შორის, ასეთი სიტყვებიც აწერია სათაურში: „Kraft macht Recht" (ძალა ჰქმნის უფლებასაო); და ხომ ცნობილია, რომ ბისმარკი ხმა-მაღლა სწორედ იმას ამბობდა, რასაც სხვები ჩუმად ჰფიქრობდნენ.

ა. კვერ—ძე.

(შემდეგი იქნება)

ახალი საშენი მასალა.

შარშან ზაფხულს იყო სურამში მთა-მადნის ინჟინერი ა. მარგოლიუსი, რომელმაც დაათვალიერა მამული ნ. და ა. აბაზაძეთა—წედანი. მემამულეთ უნდოდათ გაეგოთ, არის, თუ არა მათს მამულში მარმარილო.

წედანი 707 დესეტინაა და სურამის რკინის გზის სადგურიდგან 10—12 ვერსის მანძილზეა, ხოლო ხაშურიდგან 16—18 ვერსი იქნება. გზა უმეტეს ნაწილად საურმეა, მხოლოდ მაღლობ ადგილებშია სასიარულო ცხენითა და საცალ-ფეხო ბილიკით.

ახლო-მახლო სოფლები საკმაოდ არის. ამიტომ მუშა ადვილი საშოვარია, თუ ვინიცობაა რაიმე ძვირფასი მადანი აღმოჩნდა წედანში. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, რომ აქ საკმაოდ მოზრდილი მთის წყალი ჩამოდის—სახჩუბრის-საკალმახო წყალი. თუ ვინიცობაა რაიმე ქარხანა დაარსდა აქ (თუნდ ქვის დასაკუთხი), ეს წყალი და მისივე მუქთი ძალა მცირე სარგებლობას არ მოუტანს მწარმოებელს.

გზა-გზა, როცა ამ მამულის ხეობებს ათვალიერებ, ბევრგან ჰხედავ პირ-ნაჩენ საშენებელ ქვის მადნებს. უნებურად გებადება აზრი, იქნება აქ სადმე უფრო ძვირფასი საშენებელი ქვის მადანიც იყოსო. და მართლაც ორგან ამჩნევთ ასეთს მადანს. მაგრამ ეს მადანი მარმარილო არ არის, თუმცა ძრიელ ჰგავს მარმარილოს. წედანის მარმარილო მუქის, უფრო შავის ფერისაა. ზედ ემჩნევა დიდი, ნაცრის ფერი, ლურჯი და მწვანე ზოლები, რომელიც გველივით მიიხლაკნება, ეტყობა ძარღვები და რგვალი წინწკლები, რაიცა მეტად ლამაზი და სასიამოვნო სანახავია.

ინჟინერმა სთქვა, რომ ეს ქვა უნდა მიკროსკოპიულად იქმნას გამოკვლეული და დაიშალოს იმ ნაწილებად, რომელთაგანაც შესდგება. ასე თვალით-კი ცხადად ეტყობა, რომ ეს მადანი მარმარილო-კი არ არის, არამედ მარმარილოს მზგავსი მკვრივი სერპენტინიაო. ეს ეტყობა, სხვათა შორის, ბჭყვრიალზედა, გადატეხაზედ და სიმკვრივეზედაო. შესახედავად უფრო ლამაზია, ვიდრე საუკეთესო მარმარილო და ადვილად იკიდებს პეწს, ლიპდება და პრიალდება. რადგან ძრიელ მაგარი არ არის, არც იფშხვრება, ამიტომ ძალიან ივარგებს, არა თუ სათლელად და კედლის გარე ქვად, აგრეთვე სვეტებისათვის, ბუხრებისათვის, გადიდებისათვის, არამედ ისეთის საგნების გასაკეთებლადაც, რომელსაც ბევრად უფრო რთული მოყვანილობა აქვსო.

ყოველ შემთხვევაში სასურველია, დაწვრილებით იქმნას გამორკვეული, რამდენად ულევლია მადანი აქ აღმოჩენილის სერპენტინისა და რაოდენი საჭირეწველო მნიშვნელობა ექმნება წედანის სერპენტინს, რომელსაც ასეთი მშვენიერი თვისებანი აღმოაჩნდა მთა-მადნის ინჟინერის მარგოლიუსის გამოკვლევით.

სურამელი.

ჩვენებური ამბები

ფშავ-ხევსურეთი. 10 მარტს როცა ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უეჭველად მოვაჭრე სომხებიც უნდა გამახსენდეს ხოლმე. ეს იმიტომ, რომ ამ ხეობაზე სულ წმინდა ქართველები სცხოვრობენ, ხოლო მთელი ვაჭრობა, თითქმის სრულიად სომხების ხელშია ჩავარდნილი და როგორც უნდათ, ისე ჰარპაშობენ, ამათთვის გადაჭრილი ფასი არ არსებობს; ოღონდ ჰნახონ და შეამჩნიონ-კი, რომ კაცს აბადია რამე: ერბო, ყველი, მატყლი ან სხვა. ისე ხერხიანად და უსვინდისოდ გამოაცლიან კაცს ყველაფერს ხელიდგან, რომ თუ სხვამ არავინ ჩააგონა, თვით გამყიდველი ვერაფერს გაიგებს. მოტყუვდა, თუ არა. რამდონი სოჭხი მოსულა ფშავ-ხევსურეთის ხეობაზე, რომელსაც ზურგ დამპალის ცხენისა და ერთის თუშნის, ისიც უვარგისის ფარჩეულობის მეტი არა ჰქონიათ რა. შემდეგ? შემდეგ-კი ცარცვა-გლეჯით ისე გამდიდრებულან გუშინდელი მთხოვრები, რომ ორ-სამ სართულიანი სახლები აუშენებიათ, დუქნები საქონლით გამოუტენიათ და ვისაც გუშინ სამოწყალოდ პურსა სთხოვდნენ, დღეს მოჯამაგირედ დაუჭერიათ. დღესაც აქაურ მოვაჭრე სომხებს სავაჭრო მოწმობანი არ აუღიათ, მაგრამ ძველებურად საქვეყნოდ-კი ვაჭრობენ. სწორედ ამ ხეობაზეა ზედ გამოჭრით ნათქვამი ბრძნული ქართული ანდაზა:—სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოდ.

ყველაზედ ცუდი ჩვეულება ხევსურეთში—ღოთობაა. მთვრალი ხევსური და მხეცი—ორივე ერთია. იგი ჰკარგავს სიმთვრალეში ყოველსავე ადამიანობას. ხევსური სადმე რიგებში, ქორწილებში და სხვა ამგვარ შემთხვევაში პირველ თავისს მოვალეობად სთვლის დაითროს თავისებურად, ხოლო შემდეგ იჩხუბოს.

ხევსური უფარ-ხმლოდ არსად გაივლის, წყალსაც-კი არ მიიტანს. დათრობის შემდეგ დაერევიან ხმლებით და სჭრიან ერთმანერთსა. ამ ერთ-ორ კვირაში იმდენი ხევსური დაიჭრა, რომ იმათ ჩამოთვლას ცალკე წიგნი მოუნდებოდა. ადგილობრივ სოფლის ექიმებს სახლებში ადგილი აღარა აქვთ, რომ დაჭრილნი მიიღონ.

აქაურებს ბოქაულისა ძლიერ ეშინიანთ: თუ ვინმე გააჯავრეის, მაშინვე ბოქაულის თავს დაამუქარებენ; ამის გამო ძლიერ სასურველია, ფშავ-ხევსურეთის ბოქაული თავის რაიონშივე სცხოვრობდეს და არა თიანეთში, რომელიც კაი მანძილით დაშორებულია ფშავ-ხევსურეთზე.

ფშავ-ხევსურეთში დიდი ზამთარი იყო. გაზაფხულისა ჯერ არა ითქმის-რა. მცხოვრებნი კარგს მოსავალს მოელიან.

მიხეილ შამანაური.

კავკასია

ბაქო. ამ დღეებში აქ იყო საერო განათლების სამინისტროს წევრი თ-დი გოლიცინი, რომელმაც დაათვალიერა აქაური სასწავლებლები და შემდეგ ტფილისისაკენ გაემგზავრა. ტფილისიდან 20 მარტს ბაქოშივე დაბრუნდება და აზრად აქვს ხელმეორედ, უფრო დაწვრილებით, დაათვალიეროს ბაქოს სასწავლებელნი.

—

აქაურ ქალაქის საბჭოს აუარებელი საქმეები აქვს. მომეტებული ნაწილი ამ საქმეებისა შეეხება ქალაქის მამულების მოწეს-რიგებას. საბჭომ გადასწყვიტა, 17 მარტიდან ყოველ დღე ჰქონდეს კრება. ბევრს ხმოსანს, რომელთაც აგრე რიგად არ უყვართ კრებებზედ სიარული, ეწყინა ეს გადაწყვეტილება.

—

აქაურმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სახლებზედ გადასახადების დადება, დაასრულა მუშაობა და მათი მუშაობის შედეგი ეცნობა სახლის პატრონთ, რომელთაც ნება მიეცათ, 7 აპრილამდე წარუდგინონ ქალაქის გამგეობას თავიანთი განცხადება, თუ უკანონოდ სცნობენ კომისიის გადაწყვეტილებას. 6 აპრილს სწორედ აღდგომა მოდის, ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ორის დღით კიდევ განაგრძოს ეს ვადა, ე. ი. 9 მარტამდე.

—

აქაურ ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი ქალაქის თვით-მართველობაში მოსამსახურეთა დასაჩუქრების შესახებ ბედნიერ დღეებისთვის.

რუსეთი

უმაღლესი ბრძანებით დათხოვნილ არიან სამსახურიდან უპენსიოდ ფინლიანდიელი მოხელენი: ვიბორგის გუბერნიაში—სოვეტნიკები: სნორრე და ხომინი, ასესორები—პალდანი და ბრუნოუ, ადვოკატი—ფისკალი ფორსმანი, ნოტარიუსები—ფურუპოლმი, ვინტერი, ჰადდი და ნორდცენი და ფისკალი ბრონსი; ვაზას გუბერნიაში—ასესორები მონტინი და ეკჰოლმი და ვიცე-ადვოკატი ფისკალი სედერბერგი.

— სამოსწავლო მთავარ გამგეობამ ფინლიანდიაში აცნობა ყველა ფინლიანდელ ქალთა და ვაჟთა სასწავლებელთ უფროსებს, სახეში იქონიეთ ყოველთვის ახლანდელი დროის ვითარებაო; ფრიად საჭიროა, რომ მოსწავლენი და მასწავლებელნი მოერიდონ ყოველგვარ დემონსტრაციებს, (ხალხის ყრილობას ქუჩაში რაიმე განზრახვის განსახორციელებლად) ყველაზე უფრო-კი პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციებსაო. მთავარ-გამგეობა ვალად სდებს ყველა მასწავლებელთ, განუწყვეტლივ თვალ-ყური ადევნონ, რომ მათადამი რწმუნებულ სასწავლებლებში მტკიცედ იქნეს დაცული წესიერება და სასტიკად დასაჯონ ამ წესიერების დამღრვეველნი.

— სამხედრო უწყებაში გამოცხადებულია: ცოლის შერთვის ნება მიეცემათ ყველა ოფიცრებს, რომელნიც მსახურობენ ჯარში, სამხედრო გამგეობაში და სხვა-და-სხვა სამხედრო დაწესებულებებში. ცოლის შერთვის მსურველი ოფიცერი წლოვანებით 28 წ. ნაკლები არ უნდა იყოს. ოფიცრებს, რომელთაც 28 წ. არ შესრულებიათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ ცოლის შერთვის ნება, თუ უზრუნველ-მყოფელ თანხას წარმოადგენენ და, თუ 2 წ. უმსახურნიათ იმ ადგილს, სადაც ცოლს ირთავენ დივიზიების უფროსებს ეძლევათ უფლება სხვა-და-სხვა პატივსადებ შემთხვევაში მისცენ ცოლის შერთვის ნება იმ ოფიცრებს, რომელთაც ეს 2 წლის სამსახური არ შეუსრულებიათ.

თუ ოფიცერმა ოფიცრის ქალის შერთვა ისურვა, უზრუნველ მყოფელი თანხის მხოლოდ ნახევარი უნდა წარმოადგინოს.

უცხოეთი

ინგლისი. როგორც გაზ. „Stand“-ი იტყობინება, საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს საადმირალოს ლორდმა ფორსტერმა განაცხადა,—მთავრობა კარგად ჰგრძნობს, თუ რამდენად საძნელოა სახელმწიფოსათვის ეს დაუსრულებელი გაძლიერება მხედრობისა როგორც ზღვაზედ, ისე ხმელეთად, და მზადაა შესთანხმდეს დიდ სახელმწიფოებთან, რომ საყოველთაოდ შეამცირონ შეიარაღება, მაგრამ უხერხულად მიაჩნია თვითვე ჩვენოს პირველი მაგალითი სხვებსაო.

ავსტრია-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტში, უნგრეთთან შეთანხმების პროექტის გამო, მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც საზოგადო ყურადღება მიიპყრო.

უპირველეს ყოვლისა მინისტრმა განმარტა, რომ, როგორც ავსტრიის, ისე უნგრეთის საეკონომიო ვითარება მოითხოვს უეჭველად შეთანხმებასაო. „რასაკვირველია, ვერ ვიტყვი—სთქვა ორატორმა,—რომ ავსტრია, ან უნგრეთი უფრო ხელსაყრელ შეთანხმებას არ საჭიროებდეს, ან კიდევ, საზოგადოდ, შეუძლებელი იყოს უკეთესი შეთანხმება. მაინცა და მაინც არც ისე დიდ ფასსა ვსდებ ჩვენ მიერ გაკეთებულ საქმესა და კარგადაც მესმის ის იჭვნეულობა, რომელიც წინა ორატორებმა გამოიჩინეს. მაგრამ ველი, რომ, აი, აქ გაატარონ პროექტი მიუდგომელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში. საქმე იმას შესახება, თუ რაგორი საეკონომიო დამოკიდებულობა გვაქვს უნგრეთთან. მშვიდობიანი და მეგობრული განწყობილობა უნგრეთთან მე, სწორედ, იმპერიის ორთავე ნახევრის სიცოცხლედ მიმაჩნია. უამისოდ-კი ორსავე დიდი ხიფათი მოელის. ის უკმაყოფილობა და უსიამოვნობა ურთიერთთა შორის, რომელსაც დასასრული არა ჰქონდა პროექტის შემუშავების დროს,—დავიწყებას უნდა მივსცეთ. ამას არის ყველაფერზედ მეტად მოწადინებული მთავრობა. მონარქიის სახელის გაძლიერებას ვერა შეუწყობსრა ხელს ისე, როგორც ამგვარად განხილვა მთავრობის პროექტისა.“ შემდეგ ამისა კერბერი შეეხო წინა ორატორთა მიერ გამოთქმულ აზრებს, განსაკუთრებით, ავსტრია-უნგრეთის სავაჭრო და საბაჟო განვითარებას. პრინციპი „Divorsans“ აქ სრულიად უადგილოა. მხოლოდ იმიტომ უარ-ყოფა შეთანხმებისა, (რომლის მიღებაც თამამად შეუძლიან ავსტრიასაც და უნგრეთსაც), რომ უკეთესი არ მოგვეპოვება, და სავაჭრო-საბაჟო განცალკევების მოთხოვნა,—სწორედ მოგახსენოთ, დიდ დანაშაულად მიმაჩნია მონარქიის წინაშე“. ამის შემდეგ კერბერმა დაწვრილებით განმარტა პროექტი ყოველის მხრივ: ქაღალდის ფულის სავალდებულო დახურდავება, შაქრის საკითხი და სხ.; მაგრამ უფრო სავსებით განმარტა უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობის პირობანი. გერმანიის შესახებ ორატორმა სთქვა: „ყველა სახელმწიფომ, რომელსაც ახლო სავაჭრო დამოკიდებულობა აქვს გერმანიასთან და ჰსურს განაგრძოს მომავალშიაც ამ გვარივე დამოკიდებულობა,—ანგარიში უნდა გაუწიოს გერმანიის ეხლანდელ საბაჟო ტარიფს. ყველაზედ მეტად ჩვენვე გვეხება ესა, ვინაიდგან სწორედ ჩვენა გვაქვს ყველაზედ დიდი სავაჭრო დამოკიდებულება გერმანიასთან. თუ რომ ჩვენი საბაჟო ტარიფი, ახალ სავაჭრო ხელშეკრულობათა დადების შემდეგ, უცვლელად დარჩა, მაინცა და მაინც გულნაკლულად არ უნდა დავრჩეთ იმის გამო, ვითომ როგორც ავსტრიისა, ისე უნგრეთის მეურნეობა ჯეროვან შემწეობას იყოს მოკლებული“. ორატორი შეეხო კიდევ მთავრობის მიმართ წარმოთქმულ საზოგადო საყვედურებს. „გვეუბნებიან,—შეთანხმება მხოლოდ უმაღლესის გავლენის წყალობით მოხდაო. ეს—ზღაპარია. საქვეყნოდ ვაცხადებ ხმა მაღლად, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკების განმავლობაში ერთხელაც არ გვისარგებლია უმაღლესის გავლენით.“ დასასრულ კერბერმა ასე დაათავა თავისი სიტყვა: „თუმცა ჩემის, შედარებით ხანგრძლივის მმართველობის განმავლობაში (სიცილი) არავისთვის მიმიცია ამის მიზეზი, მაგრამ მაინც ოპტიმისტს მეძახოდნენ. რა გაეწყობა! რაც უნდა იყოს, ისევ ოპტიმისტობა სჯობს პესსიმისტობას. დიდათა მრწამს, რომ ეს ახალი შეთანხმება იმპერიის ორსავე ნახევარს გააძლიერებს, და ვამტკიცებ, რომ ათის წლის შემდეგ ავსტრია და უნგრეთი თამამად შესძლებენ, თუ-კი საჭიროებამ მოითხოვა, ეკონომიური ბრძოლა გაუწიონ უცხოეთს. მთავრობას არ შეუძლიან გულითადი მადლობა არ შესწიროს ყველა დასს მათის შრომისა, პარლამენტის ეხლანდელ მდგომარეობასა და თავის წმინდა მოვალეობის ასრულებისათვის. ეხლა უნდა შეუდგეთ მეტად საყურადღებო საქმეს—შეთანხმების საკითხს, რომელიც შეადგენს ავსტრიისა და უნგრეთის, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ავსტრია-უნგრეთის აუცილებელს საჭიროებას. შეუდექით საქმეს იმ რწმენით, რომ საჭიროა შეთანხმება საშუალოდ—კარგის შესახებ, მაინც თუ უკეთესის მიღწევა შეუძლებელია“. (მოწონების ხმებია).

ნარკვევი

გაზ. Нов. Обозр. ატყობინებს ქუთაისიდგან: ნაფიც ვექილთა კრებაში ნაფ. ვექ. თანაშემწემ ბ. დგებუაძემ წაიკითხა საჯაროდ მოხსენება ადვოკატების აგენტების შესახებ.

რაიმე უნდა ვიღონოთ ამ მოვლენასთან საბრძოლველადაო. ადვოკატის აგენტი ისეთი კაცია, რომელიც თავის პატრონისათვის მუშტრებს დაეძებს. ადვოკატი საკმაოდ ასაჩუქრებს თავის აგენტს და ეს უკანასკნელი სცდილობს, საცა-კი შეიძლება, სახელი გაუთქვას თავის პატრონს: ქებას შეასხამს ხოლმე ბულვარზე, დუქნებში, სხვა-და-სხვა საჯარო ადგილას, თავის პატრონის მოკიდეთ-კი, სხვა ადვოკატებს, აძაგებს, ტალახში ათრევს, მათ ოჯახს, მათ ცოლ-შვილსაც არ დაზოგავს ხოლმე.

მკითხველი, რასაკვირველია, იცნობს ამისთანა ადვოკატებს, იცის, რომ ტფილისშიაც ბუდობენ ისინი. სასამართლოში თქვენ მათ სრულებით ვერ იცნობთ: კოპწია და გამოწყობილნი, გამოცხადდებიან ხოლმე ისინი სამსჯავროს წინ. თქვენ თავის დღეში ვერ მიხვდებით რომ ამ შვენებით სავსე წმინდა არსებათ რაიმე ადამიანის დამამცირებელი უწმინდურობა აცხიათ, ადვოკატი ტრიალებს სცენაზე, მისი აგენტი-კი სცენის კულისებში. ვაჭარი, რომელიც ცხადად, დაუფარავად აქებს თავის საქონელს და მუშტარს იზიდავს, ცხადი, გამორკვეული მოვლენაა ცხოვრებაში. თქვენ იცით, ვისთანაც გაქვთ საქმე და ამისდა-გვარად მოექცევით ხოლმე. უწმინდურობის მომქმედ—წმინდა ადვოკატი-კი გამოურკვეველი, ორპირი არსებაა: წინიდგან ანგელოზსა ჰგავს, უკანიდგანა-კი ეშმაკს. მან უნივერსიტეტში, წმინდა მეცნიერების ტაძარში დაასრულა კურსი და არ იკადრებს უწმინდურობის ჩადენას ცხადად, საჯაროდ. ამ ბინძური საქმისათვის ბუნებით ბინძური ადამიანები არიან დარჩენილნი, რომელსაც იგი ჩუმად ქირას აძლევს და ცხოვრებაში დაატრიალებს ხოლმე თავისს საკეთილდღეოდ; ისედაც ტალახში ამოსვრილ არსებას ვერაფერს წასცხებს ახალი ტალახი. მისი პატრონი-კი დარჩება უბიწო, შეუმწიკვლავი გამოკვეცხადდება ხოლმე თვალ-წინ.

სამწუხარო მოვლენაა ამგვარი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში.

ბ-ნი დგებუაძე გვირჩევს, მივმართოთ სხვა-და-სხვა საშუალებათ, ამ მოვლენასთან საბრძოლველად; სხვათა შორის, იმ აზრისაა, რომ კანონმა უნდა დასაჯოს ამ ბინძური საქმის ჩამდენნიო. საეჭვოა, რომ კანონმა, რაც უნდა სასტიკი იყოს იგი, აქ გააწყოს რამე. ათასი მიხვეულ-მოხვეული გზები აქვთ ამ არსებათ კანონის ასაცილებლად. კანონის ცოდნაში ისინი თითონ არიან დახელოვნებულნი და ჩუმად და შეუმჩნევლად გაატარებენ თავიანთ სათვირალო ნავს კანონის სახიფათო კლდეებ შუა. თუ ადამიანს გულში არა აქვს დაცული მტკიცე ზნეობრივი კანონი, გარეშე კანონი მას ვერ გაწვრთნის, სწორ გზაზედ ვერ დააყენებს.

—

ნორდარის 18 მარტის ნომერში სწერია:

> „ოთხმა კომლმა თალიშ სოფლისამან, რომელიც ერძიაძინზე ახლოა, მართმადიდებლობა მიიღო, ხოლო აბარანი ჩამარლუს სოფელში თექვსმეტმა კომლმაო“.

სომეხთა შორის მართლ მადიდებლობის გავრცელება სულ ახალი საქმეა. როგორც ვიცით, ამ მართმადიდებელ სომეხთ გარდა, რამდენიმე მრევლია კიდევ ალექსანდროპოლის მაზრაში მართმადიდებელის სომხებისა. ასე რომ ადგილობრივ მართმადიდებელთ სადღვდელოების მთავრობას კომისიაც-კი შეუდგენია იმ აზრით, რომ მართმადიდებელ სომხებს წირვა ლოცვა მართმადიდებლის წესით აუსრულონ და საამისოდ სომხურად ჰსთარგმნონ საჭირო წიგნები. ასეთი ზრუნვა სამწყსოს სულიერ-ზნეობრივ განვითარებისთვის, მეცადინეობა, რომ სულს სიკეთე მიეცეს გასაგების ენით ლოცვისაგან ფრიად მოსაწონია, მაგრამ ეგევე დონის ძიება არ უნდა იქმნეს მიღებული, თუ ვინიცობაა მართლმადიდებლობა მიიღეს ქართველმა გრიგორიანებმა, რომელნიც დღეს იძულებულნი არიან ღმერთს ევედრონ სომხურად, რომელიც მათთვის გაუგებარი, უცხო და არა დედაენა არის. ასეთი ქართველები უნდა მიეწერნენ მართლმადიდებელთა ეკკლესიას იმ სოფლისას, სადაც თვითონვე ცხოვრებენ, და მართლმადიდებელ მოძმეებთან ერთად ადიდონ ღმერთი ქართულად, რომელიც მათთვის გასაგები, ღვიძლი და დედაენა არის.

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის სახალხო თეატრი.

ავლაბრის სახალხო თეატრის სცენის მოყვარულთ, ბ-ნ ი. იმედაშვილის რეჟისორობით, კვირას, 16 მარტს, გამართეს წარმოდგენა. ითამაშეს კანო-ომაზასიას 3 მოქ. დრამა: „უბედურ ვარსკვლავზედ“.

ეს პიესა ჩვენ ქართულ სცენაზედ და ავლაბრის ქიჩის აუდიტორიაში რამდენჯერმე დაუდგავთ და მეტად ვთვლით მისი შინაარსის გადმოცემას. ამიტომაც ჩვენ შევეხებით მხოლოდ მის სცენაზედ წამებას... თამაშს.

„მართლის მთქმელს მზად უნდა ჰყავდეს შეკაზმული ცხენი“-ო, ამბობს ჩვენი ხალხის გონივრული ანდაზა, მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენც იძულებულნი ვიქნები შევკაზმოთ ცხენი, ვიდრე პირ-ფერობას ამოვეფაროთ.

საზოგადოდ რეცენზიები დიდ მითქმა-მოთქმას იწვევენ ხოლმე:—რატომ რეცენზენტი არ გვიხსნის, არ გვასწავლის, როგორ უნდა ვითამაშოთ ესა თუ ის როლიო და სხვ... სამწუხაროდ, უნდა მოვახსენოთ, რომ ეს რეჟისორის მოვალეობაა და არა რეცენზენტისა.

ამ წარმოდგენას რომ დასწრებოდით, თავზედს დაიწყევლიდით,—ნეტავი ფეხი მომტეხოდა და არ შევსულიყავ ამ თეატრშიო. მოთამაშენი სცენაზედ ისე ირეოდნენ, ისე აბიჯებდნენ ფეხებს და აქნევდნენ ხელებს, რომ იმათის ცოდვით დაიწვოდით. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ წარმოდგენაში ისეთნიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელთაც, ცოტად თუ ბევრად, ეტყობათ უნარი სცენაზედ თამაშისა, მაგრამ მაინც არ იცოდნენ, სად ან როგორ დამდგარიყვნენ. პაუზებსა და ერთმანეთის როლის პირიდან გამოგლეჯას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. როლები ხომ ისე იყო განაწილებული, გარდა ერთი-ორისა, რომ კაცს ძალაუნებურად სიცილი ადგებოდა პირზედ.

გული სინანულით გევსებათ, როდესაც ხედავთ ამ მოთამაშეთა ტანჯვა-წამებას სცენაზედ, მით უფრო, რომ თვითონვე გრძნობენ თავიანთს დანაშაულს, მწუხარებით სახე ემღუხნებათ და დარცხვენილი თავებს აქნევენ.

წარმოდგენამ ერთობ სუსტად ჩაიარა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ხალხი ბლომად ესწრობა და რომ ხედავს სცენის გაციებას, პაუზებს, რასაც მოჰყვება ტანჯვა-წამება მოთამაშეთა და სცენაზედ დაბნევა, გული ვეღარ უთმენს, ღელავს და თითონაც იტანჯება იმათთან ერთად.

სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ამ წარმოდგენაში კარგები იყვნენ ქ. აბხაზიშვილი (პიეტრა) და ბ-ნი ბადაშვილი (მარციალი) და ამათაც აკლდათ მაინც გამოცდილი რეჟისორის დარიგება.

სუფლიორის რახუნს იმ დროს, როდესაც რომელიმე მსახიობი უნდა გამოვიდეს სცენაზედ,—ხომ ყურთა სმენა წაღებული ჰქონდა.

ყველა ეს ვისი დანაშაულია, თუ არა რეჟისორისა? მიეცით სცენას დახელოვნებული რეჟისორი და წარმოდგენები მწყობრად გაიმართება და თვით მოთამაშენიც შეიგნებენ თავიანთ როლებს. მაშინ გამოიღებს ნაყოფს მათი შრომა-მოღვაწეობა, თორემ თუ ამ გზით იარეს, ფონს ვერ გავლენ...

ვგონებ დროა, ყოველსავე ამას ბოლო მოეღოს.

ყველა ეს არ უნდა მეთქვა, მაგრამ მე უფრო მშრომელი ხალხი მყავს მხედველობაში, რომელიც დაიარება თეატრში მხოლოდ მისთვის, რომ დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილება, რომელიც, ეს-ეს არის, ახლად იდგმს ფესვებს მათს გულში, და ვგონებ ამაში თვითონაც დამეთანხმებიან, რომ მოვალენი არიან პირნათლად მიაწოდონ ეს, მხოლოდ ჯერ ერთად-ერთი, სულიერი საზრდო მათ და საკეთილოდ.

კამათელი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 მარტს.

იერუსალიმი. ღამე უეცრად მიწა ძრიელ იძრა. მცხოვრებნი შიშის ზარმა აიტანა. მიწის ძვრას დიდი ზარალი არ მოუტანია.

ნიუ-იორკი. ხოლტალესიის მაზრაში (ნიკარაგუა) დაიწყო რევოლიუცია, შეამბოხენი შეესივნენ გრანადის მაზრას, მდგომარეობა გაჭირვებულია, რადგანაც რევოლუციას გარედგან ხელს უწყობენ. მთავრობა აგროვებს დიდ-ძალ ჯარს და გადასწყვიტა ძალდატანებული სესხი აიღოს.

ბერლინი. იმპერატორის ბრძანებით რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევანი 3 ივნისს მოხდება. იმპერატრიცა საუცხოვოდ ჰგრძნობს თავს.

18 მარტი.

პეტერბურგი. გაზ. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია ბიტოლიდან მიღებულ რუსეთის კონსულის მოხსენება: კონსულმა ოფიციალურად გამოუცხადა ადგილობრივ მკვიდრ ქრისტიანთ, რომ იმპერატორის მთავრობა სასტიკად ჰკიცხავს კომიტეტების მოქმედებას; ამგვარივე განცხადება კომიტეტების წევრებმა: მოუღეთ ბოლო თქვენ ბოროტ-მოქმედებას და ნუ უშლით სხვა სახელმწიფოთაგან წარმოდგენილ რეფორმების განხორციელებასაო. განცხადებას მოძრაობის მეთაურნი ძალიან

უსიამოვნოდ მიეგებნენ, რადგან არ არიან კმაყოფილნი რეფორმების პროექტითა და სურთ სამ ვილაიეტში ავტონომია შემოიღონ. ამ დღეებში კომიტეტებმა თავისი რწმუნებული გაგზავნეს საკონსულოში და გამოაცხადეს, რომ ვერ დაითხოვენ თავიანთ ბანდებს (მეამბოხეთა კრებულს) სანამ რეფორმები ნამდვილად არ იქმნებიან შემოღებულნი და თავის დანიშნულების შესაბამნი არ გამოდგებიან. კომიტეტების მეთაურნი უშლიან იმ ამბის გავრცელებას, რომ ხვანთქარმა აპატივა დამნაშავეთ და ოსმალეთის მთავრობა სცდილობს, ქრისტიანთა მდგომარეობა გააუმჯობესოს. მეამბოხეების მოქმედება არ მოსპობილა: ებრძვიან ოსმალეთის ჯარს, ხშირად აქვთ ხოლმე მასთან შეტაკება. ჯარს ხშირად ბაშიბუზუკები ჰშველიან. ოსმალები ძალას არ ატანენ მშვიდობიან მკვიდრთ. ბოლოს დროს გახშირდა მკვლელობა პოლიტიკური განზრახვით: მსხვერპლნი უმთავრესად მასწავლებელნი და სერბიელთა მღვდლებია, რომელნიც აჯერებენ სოფლელთ, მეამბოხეთ ნუ მიემხრობითო. ამ ბოლო ხანებში კომიტეტების მოქმედება ერთობ გაძლიერდა, სწორედ იმ დროს, როცა ბიტოლიას ბოლგარიის სავაჭრო სააგენტოს მართველი ჩამოვიდა და მისმა მოსვლამ ბოლგარიისათვის არა სასიამოვნო ხმები გამოიწვია, ბოლგარეთის სამთავრო მონაწილეობას იღებს კომიტეტთა მოქმედებაშიო. ოსმალეთის მთავრობა მხნედ ადგია რეფორმათა განხორციელების გზას. როცა დამნაშავეთა პატიება იყო გამოცხადებული იმავე დროს სალონიკის ვილაიტის ფინანსთა ინსპექტორს ბძანება მოუვიდა: შეადგინოს მაკედონიის სამ ვილაიეტისათვის ხარჯთ-აღრიცხვა (ბიუჯეტი). ბიტალის ღენერალ-გუბერნატორი ალი-რიზა-ფაშა ძალიან სცდილობს, ამ მხარეში მშვიდობიანობა დაამყაროს.

დეპეშა, რუსეთის კონსულისაგან გამოგზავნილი უსკიუბიდან 14 მარტს. არეულობა კოსსოვის ვილაიეტში ძლიერდება; კონჩანში და იშტიბში ბევრი ჯგუფებია მოქალაქეთა და მასწავლებელთაგან შემდგარი, თითოში ას კაცზე მეტი. განზრახვა აქვთ ააფეთქონ ყაზარმები და საარტილერიო პარკი იშტიბში და მოსპონ რკინის გზაზე მოძრაობა და ტელეგრაფის მოქმედება. ბოლგარიიდან ბევრს ოფიცრებს მოელიან. სელიაკოვი მოკვლას ემუქრება იმათ, ვინც არ შველის მეამბოხეთა კრებულთ, არ აძლევს მათ ფულს, სურსათს და იარაღს. იძულებულნი არიან, ყველა ეს ასრულონ. კომიტეტები სცდილობენ დაუმალონ მცხთვრებლებს საკონსულოდან გამოგზავნილი ცნობა იმის შესახებ, რომ იმპერატორის მთავრობას არ მოსწონს კომიტეტების მოქმედება; კომიტეტები სცდილობენ კიდევაც დააჯერონ მცხოვრებლები, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ მოქმედებენ. 14 მარტს სოფ. სკოლარციდან რომელიც კონჩაზეა ახლო, დეპუტაცია მივიდა საკონსულოში და ითხოვა გამოეცხადებინათ მათთვის მართალია თუ არა, რომ მოძრაობა რუსეთის ბრძანებით დაიწყოო თუ ეს მართალია თუმც ჩვენ კომიტეტებს არ თანაუგრძნობით, მზადა ვართ იმ გზას დავადგეთ რომელიც რუსეთი გვიჩვენებსო და მხოლოდ ვითხოვთ თავ-შესაფარი მისცეთ ჩვენ ცოლშვილსაო. ეს ამბავი ცხადად ამტკიცებს, რომ მოძრაობა განძრახაა გამოწვეული. მდგომარეობის გამწვავერისთვის კომიტეტები სასტიკად სტანჯავენ ოსმალოებს.

კომიტეტები ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ გაბოროტონ მაჰმადიანი და ქრისტიანი მკვიდრნი ამოაწყვეტინონ.

ვენა. მთავრობას განუზრახავს დააარსოს ავსტრია-უნგრეთის ბანკი ტიანძინში, რომ ხელი შეუწყოს სავაჭროების გაზიდვას ჩინეთიდგან ავსტრიაში.

ლონდონი. დედოფალი წავიდა კოპენჰაგენს.

ბერლინი. იმპერატორმა ინახულა რუსეთის დესპანი გრაფი ოსტენ-საკენი.

ლონდონი. მეფე წავიდა პორტსმუტს, საიდანაც გაემგზავრა ლისაბონს.

ასტრახანი. გამოვიდნენ პირველი სამგზავრო გემები.

პეტერბურგი. მრეწველობის განყოფილება საჯაროდ აცხადებს რომ პარიჟში 1904 წელს სექტემბერ-ნოემბერს გაიმართება საერთაშორისო გამოფენა ჰიგიენისა, წყალში დახრჩობისაგან გადარჩენისა, სტორტისა (ასპარეზობისა), მეთევზეობისა და დაჭრილთა შველისა.—ლუტიხში (ბელგიაში) 1905 წელში აპრილში გაიმართება საერთა შორისო გამოფენა.

სოფია. საერო კრებულის სხდომა დღეს ვერ მოხდა, რადგანაც სამინისტრო კრიზისი ჯერ არ გათავებულა. მთავარმა ხელ ახლა მიანდო [illegible]ნევს კაბინეტის შედგენა. საგონებლია [illegible] უწინდელი მინისტრები დარჩებიან გარდა პაპრიკოვისა რომლის მაგიერ პოლკოვნიკი სავოვი იქნება.

ათინა. სამხედრო მინისტრმა ლამბრიტისმა დღევანდელს პალატის კრებაზედ გამოაცხადა რომ თავის თანამდებობას თავს ანებებს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95⅜ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	447 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	344 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	302¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9901 გაყ. (?)
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4210 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	402 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

29 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. დავით ბიერდულისა და ვასილ ბურდულის დავა.
2. პორფირე აბესაძესი და პავლე ფუთკარაძის დავა.
3. პორფირე პატარაიასა და მიხაილოვის სათავად აზნაურო ბანკის მმართველობის დავა.
4. ნიკოლოზ კიკნაძისა და კონსტანტინე ყიფიანის დავა.
5. ბეგლარ და ვასილ ქვანიათა და პავლე თათარაშვილის დავა.
6. სვიმონ ზარანდიასა და კატოტია ცხონდიას დავა.
7. დარია და ნიკოლოზ გუგუნავათა დავა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდიბელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.



მოხდენილი, გამოსაყენებელი და ხელ-მოსაცემი!

ვურჩევთ შეიძინონ გათხოვილებმა და გასათხოვარმა ქალებმა. ნამდვილის ოქროსი, 56 პროპისა: **გულის სამკაული,** ანუ ბროშკა ოქროსი, რომელზედაც ხელოვნებით გაკეთებული ბრილიანტები მშვენიერის სხივებისა გარშემორტყმული აქვს წყვილს ლალს, ზურმუხტს და ფირუზს (რომელსაც მყიდველი აირჩევს); 2) ერთი წყვილი დიდრონი საყურეები ოქროსი, ამისთანავე მოყვანილობისა; 3) ბეჭედი ოქროსი ამისთანავე ფასონისა.

მსურველს გაეგზავნება უბეოდ და **ფას-დადებით 8 მანეთად.** თუ ბრასლეტიც ისურვა მყიდველმა ამისთანავე ფასონისა, ეღირება 15 მან. ადრესი: სავაჭრო სახლი ი. გ. შამისო და კომპანია, ოდესა. (Торговому дому І. Г. Шамиссо и К° Одесса).

(1—1)

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგურში ისყიდება **ჰაჯი იზმაილ-ოღლის** ბაღის ხეხილი: **ვაშლი, მსხალი, ატამი** და სხვა, ორ—ორი და სამ-სამი წლისანი.

(2—60—2)

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზედ, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108.

(120—6.—95).



გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები. და აგრეთვე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა-და-სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველთ პირველ მოთხოვნილებისამებრ.

(7—7)

მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ევროპიელთა და აჭაურ შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამოსარჩევად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.